



MOORE

საკანონმდებლო სიახლეები

აგვისტო - დეკემბერი, 2023

შინაარსი

ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში

გვერდი 1-2

ცვლილება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში №996

გვერდი 2-3

სხვა ცვლილებები

გვერდი 3



სალომე ოდიშარია
საგადასახადო კონსულტანტი
T: +995 (599) 195 040
E: salome.odisharia@moore.ge



თეონა აბდუშელიშვილი
პარტნიორი
T: +995 (558) 506 006
E: theona.abdushelishvili@moore.ge



MOORE
T: +995 (322) 000 123
E: info@moore.ge
Address: 12 Tsitsadze Str/ 2 Davit Gamrekeli Str., 0160, Tbilisi, Georgia

ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში

საშემოსავლო გადასახადით დაბეგრვისაგან თავისუფლდება ფიზიკურ პირთა შემოსავლების შემდეგი სახეები:

- „ბ3) „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე განხორციელებული საპენსიო შენატანი, მასზე დარიცხული სარგებელი და „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე-34-ე მუხლების შესაბამისად გასაცემი პენსია/საპენსიო აქტივები, გარდა:
 - **ბ3.ა)** საპენსიო შენატანის შეცდომით ან ზედმეტად განხორციელების შემთხვევაში დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილისთვის/ფიზიკური პირისთვის დასაბრუნებელი, შეცდომით ან ზედმეტად განხორციელებული საპენსიო შენატანის ოდენობის შესაბამისი თანხისა და მასზე დარიცხული სარგებლისა;
 - **ბ3.ბ)** „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასული დასაქმებულისთვის დასაბრუნებელი საპენსიო შენატანის ოდენობის შესაბამისი თანხისა და მასზე დარიცხული სარგებლისა;
 - **ბ3.გ)** „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 341 მუხლის შესაბამისად დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილის მიერ საქართველოს სამუდამოდ დატოვების საფუძველით მისთვის დასაბრუნებელი საპენსიო აქტივების შესაბამისი თანხისა.

შენიშვნა: ამ ნაწილის „ბ3.ა“, „ბ3.ბ“ და „ბ3.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაბამისი თანხა იბეგრება ამ კოდექსის 81-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული განაკვეთით;“.

ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალში არ შედის:

- დ) „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სახელით და მის სასარგებლოდ საპენსიო ანგარიშზე განხორციელებული საპენსიო შენატანების მოცულობა, გარდა „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტით და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა; (სრულად გატანა 5 წელში საპენსიო ასაკის მიღწევისას და შემკვიდრებზე გადაცემა)

101-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

- დ) „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დამსაქმებლის მიერ თავისი ხარჯით დასაქმებულის სასარგებლოდ, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ დასაქმებულის სასარგებლოდ მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე განხორციელებული საპენსიო შენატანები.

1. შემოსავლებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან, განეკუთვნება ნებისმიერი შემოსავალი ან სარგებელი, გარდა:

- დ) „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სახელით და მის სასარგებლოდ საპენსიო ანგარიშზე განხორციელებული საპენსიო შენატანების მოცულობა, გარდა „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტით და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

103-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დ) „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სახელმწიფოს მიერ თვითდასაქმებულის სასარგებლოდ მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე განხორციელებული საპენსიო შენატანებისა.

154-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატა „რ“ ქვეპუნქტი:

რ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საპენსიო სააგენტო – „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დასაქმებულისთვის/ფიზიკური პირისთვის მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების გადაცემის/გადახდის შემთხვევაში.

154-ე მუხლის პირველ ნაწილში დაემატა „გ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც სსიპ საპენსიო სააგენტო განისაზღვრება საგადასახადო აგენტად „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე საქართველოს სამუდამოდ დატოვების საფუძველით პირისათვის საპენსიო აქტივების გაცემისა და დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის საფუძველზე საპენსიო აქტივების შესაბამისი ოდენობის თანხის დაბრუნების ნაწილში.

მე-4 მუხლის: ა) მე-10 ნაწილს დაემატა შემდეგი შინაარსის „დ“-„გ“ ქვეპუნქტები:

- დ) საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში;
- ე) საგადასახადო შეთანხმების აქტის მოქმედების პერიოდში;
- ვ) ამ კოდექსის 238-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მე-11 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით

11. ამ მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები არ გამოიყენება:

- ა) საგადასახადო ორგანოს მიერ სასამართლოს/დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების აღსრულების პერიოდში;
- ბ) ამ კოდექსის 246-ე მუხლის საფუძველზე საგადასახადო ორგანოს მიერ პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმაგიერ პირად აღიარების შესახებ შუამდგომლობის სასამართლოსთვის წარდგენასთან და ცრუმაგიერი პირის მიმართ ამ კოდექსით გათვალისწინებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით

! მიმდინარე წლის 15 დეკემბერს ცვლილება შევიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, კერძოდ, კოდექსის 309 მუხლს დაემატა 871 ნაწილი.

ცვლილების მიხედვით საშემოსავლო გადასახადით დაბეგვისაგან თავისუფლდება საქართველოში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ფინანსური დავალიანების მქონე, სტატუსშეჩერებული სტუდენტის მიერ მიღებული სარგებელი, რომელიც მიღებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ 2023 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით გადასახდელი სწავლის საფასურის ჩამოწერით ან/და 2023 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით გადასახდელი სწავლის საფასურის გამოსყიდვის მიზნით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გადახდილი თანხით.

ცვლილების ამოქმედების თარიღია **2024 წლის 1 იანვარი.**

ცვლილება ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანებაში

ფინანსთა მინისტრის 996-ე ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებით გარკვეულწილად შეიცვალა გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის (საშემოსავლოს) დეკლარაციის რამდენიმე საინფორმაციო გრაფა, კერძოდ:

38-ე მუხლის მე-6 პუნქტის „35– 37“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

- 35) 67-ე უჯრაში – ნაღდი ფულის ნაშთი საანგარიშო თვის ბოლოსთვის, გარდა ამავე პუნქტის „36“ ქვეპუნქტში მითითებული თანხისა;
- 36) 68-ე უჯრაში – ანგარიშვალდებული პირების მიერ გადასახადის გადამხდელის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე ან/და სალაროში დაუბრუნებელი თანხები საანგარიშო თვის ბოლოსთვის;
- 37) 69-ე უჯრაში – 68-ე უჯრაში გათვალისწინებულ ანგარიშვალდებულ პირთა რაოდენობა.

ძველი რედაქციით, გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის 67-ე უჯრაში აისახებოდა საანგარიშო თვის ბოლოსთვის ნაღდი ფულის ნაშთის შესახებ ინფორმაცია, ხოლო, 68-ე უჯრაში - საანგარიშო თვის განმავლობაში ავანსად გაცემული საქვეანგარიშო თანხების ჯამი; აღნიშნულ უჯრაში აისახებოდა ის თანხებიც, რომლებიც დაბრუნებული იყო ანგარიშვალდებული პირის მიერ ან/და რომელზედაც ანგარიშვალდებულ პირს წარდგენილი ჰქონდა ანგარიში ავანსად მიღებული თანხის გამოყენებაზე.

ძველი რედაქციით, 67-ე უჯრაში ასახული მონაცემი მოიცავდა 68-ე უჯრის მონაცემს და ასევე, 68-ე უჯრაში ვერ იდენტიფიცირდება ანგარიშვალდებულ პირებზე ნაშთად დარჩენილი თანხები.

ახალი რედაქციით კი დეკლარაციის 68-ე უჯრაში ასახვას დაექვემდებარა ანგარიშვალდებული პირების მიერ გადასახადის გადამხდელის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე ან/და სალაროში დაუბრუნებელი თანხები საანგარიშო თვის ბოლოსთვის, ხოლო 67-ე უჯრაში აისახება ნაღდი ფულის ნაშთი საანგარიშო თვის ბოლოსთვის, იმ თანხის გამოკლებით რაც ასახულია 68-ე უჯრაში.

ახლებურად ჩამოყალიბდა უკვე არსებული მე-3 მუხლის 13 პუნქტი და ჩაიწერა ფიზიკური პირის (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა) საგადასახადო აღრიცხვა, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულის ნაცვლად, შესაძლებელია განხორციელდეს საგადასახადო ორგანოსთვის ვიდეო ზარით მიმართვის საფუძველზე. საგადასახადო აღრიცხვის თაობაზე ფიზიკური პირის ვიდეო ზარით მიმართვა ასევე წარმოადგენს ამ ინსტრუქციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული ფორმით კომუნიკაციაზე გადასვლის მოთხოვნას. ცალკეულ შემთხვევაში საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, ვიდეო ზარით მიმართვის ნაცვლად, პირს მოსთხოვოს №1-01 დანართის შესაბამისი განცხადების წარდგენა.

ცალკეულ შემთხვევებში ფიზიკური პირის მიერ საქონლის მიწოდებით მიღებული შემოსავლის დაბეგვრა გადახდის წყაროსთან - კატალიზატორი

გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და 393 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი და წყაროსთან 3%-იანი დაბეგვრის განაკვეთით იბეგრება ავტოსატრანსპორტო საშუალების კატალიზური კონვერტორის (კატალიზატორის) ან/და ავტოსატრანსპორტო საშუალების კატალიზური კონვერტორის (კატალიზატორის) მაკომპლექტებელი ნაწილების (მათ შორის, ამორტიზებული მაყურის ფილტრის ან/და მაყურის კერამიკული ფილტრის) ნარჩენის/ჭართის მიწოდების შედეგად მიღებული შემოსავალი. შესაბამისი ცვლილება განხორციელდა გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის შევსების ნუსშიც

ცვლილება ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანებაში

ცვლილებები დიპლომატიურ ორგანიზაციასთან დაკავშირებით

უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობებს და უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან გათანაბრებულ საერთაშორისო ორგანიზაციებს არ ეკისრებათ ვალდებულება დაქირავებულ პირთა შესახებ ინფორმაცია ასახონ „დაქირავებულ პირთა რეესტრში“. ორგანიზაციას არ წარმოექმნება რაიმე ფორმით საგადასახადო ანგარიშგების ვალდებულება ამ წესით განსაზღვრული ანაზღაურების მიმართ, გარდა ამავე მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. ორგანიზაცია ვალდებულია, საგადასახადო წლის დამთავრებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს ინფორმაცია ფიზიკური პირებისთვის გადახდილი ანაზღაურების, გვარის, სახელის, პირადი ნომრის და ანაზღაურების სახის თაობაზე.

გაცვლის (ბარტერული) ოპერაციების შემთხვევაში დღგ-ით დასაბეგრი თანხის საბაზრო ფასით განსაზღვრა

თუ გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის ფარგლებში ხორციელდება უძრავი ნივთის მიწოდება, ოპერაციის თითოეული მხარისთვის დღგ-ით დასაბეგრი თანხა განისაზღვრება მისაღები საქონლის/ მომსახურების საბაზრო ფასით დღგ-ის გარეშე.

მაგალითი 1. სანარმოსა და ფიზიკურ პირს შორის გაფორმდა გაცვლის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, ფიზიკური პირი სანარმოს საკუთრებაში გადასცემს მიწის ნაკვეთს, ხოლო სანაცვლოდ, ამავე მიწის ნაკვეთზე სანარმო უნდა ააშენოს შენობა-ნაგებობა, რომელშიც განთავსებული ფართების ნაწილს გადასცემს ფიზიკურ პირს საკუთრებაში. მიწის ნაკვეთის საბაზრო ფასია **236 000 ლარი**.

შეფასება:

იმის გათვალისწინებით, რომ ადგილი აქვს უძრავი ნივთის მიწოდებას, სანარმოს მიერ ფიზიკური პირისათვის ფართების მიწოდების დღგ-ით დასაბეგრი თანხა უნდა განისაზღვროს მიწის ნაკვეთის საბაზრო ფასით დღგ-ის გარეშე, რაც შეადგენს 200 000 ლარს (236 000 / 1,18).

ცვლილების მიხედვით ინსტრუქციის 48 პრიმა 1 მუხლს დაემატა მე-6 პუნქტი, რომლითაც განიმარტა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 163-ე მუხლის მე-2 ნაწილი გავრცელდება გაცვლის (ბარტერულ) ოპერაციებზეც საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე ანაზღაურების როგორც ფულადი, ასევე საქონლის/ მომსახურების (ნატურით გადახდისას) სახით ანაზღაურების მიღების ნაწილში.

48¹ მუხლის მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

6. ამ მუხლით გათვალისწინებული წესი ვრცელდება გაცვლის (ბარტერულ) ოპერაციებზეც როგორც ფულადი, ასევე საქონლის/ მომსახურების სახით ანაზღაურების გადახდის ნაწილში. აღნიშნული ცვლილება ამოქმედდება 2024 წლის პირველი იანვრიდან და მათი მოქმედება არ გავრცელდება 2024 წლის პირველ იანვრამდე დადებულ ხელშეკრულებებზე.

პარტნიორთა/მონაწილეთა შესახებ ინფორმაციის ასახვა

09.10.2023 წელს განხორციელდა ცვლილება, რომლის მიხედვით სანარმო არაუგვიანეს ყოველი საანგარიშგებო წლის მომდევნო წლის 30 იანვრისა, ვალდებულია პარტნიორთა/მონაწილეთა შესახებ ინფორმაცია საგადასახადო ორგანოში წარუდგინოს №1-071 დანართის შესაბამისად, ხოლო პარტნიორთა/მონაწილეთა შემადგენლობაში ცვლილების შემთხვევაში ინფორმაცია ინსტრუქციის №1-071 დანართის შესაბამისად საგადასახადო ორგანოს წარუდგინება ცვლილების განხორციელებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს შესაბამისი კალენდარული წლის მომდევნო წლის 30 იანვრისა.

დადგენილი ვალდებულება არ ვრცელდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ სამენარმო საზოგადოებებზე, ასევე, საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე, არასამენარმო (არაკომერციული) იურიდიულ პირზე, ორგანიზაციაზე (მათ შორის, საბიუჯეტო ორგანიზაციაზე) და „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ ამხანაგობაზე.

გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის პირს პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. დადგენილი ვალდებულება შესრულებულად მიიჩნევა, თუ პირი, დადგენილ ვადაში ინფორმაციის წარმოდგენის შემდეგ, მაგრამ საგადასახადო ორგანოს მიერ უზუსტობის გამოვლენამდე ან ამ მიზნით საგადასახადო კონტროლის ღონისძიების ჩატარების შესახებ შეტყობინების მიღებამდე, წარმოადგენს შესწორებულ ინფორმაციას.

ცვლილება ამოქმედდება 2024 წლის 1 იანვრიდან.

მიმდინარე წლის 25 დეკემბერს ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N 996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში, კერძოდ, 112 მუხლს დაემატა 641 და 642 პუნქტები, რომლითაც დადგინდა ხე-ტყის ნაშთების შესახებ ინფორმაციის წარდგენის განსხვავებული ვადები. ცვლილების მიხედვით გადასახადის გადამხდელი, რომელსაც საგადასახადო/სხვა უფლებამოსილ ორგანოში/სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოების გამო, 2023 წლის 16 აგვისტოს მდგომარეობით არ აქვს 2023 წლის 15 ივნისის მდგომარეობით არსებული ხე-ტყის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განკარგვის უფლება და აღნიშნული უფლება მიიღო:

ა) 2023 წლის 17 აგვისტოდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, ვალდებულია ამ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთის შესახებ ინფორმაცია საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს არაუგვიანეს 2024 წლის 31 იანვრისა, შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმით და წესით;

ბ) 2023 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, ვალდებულია ამ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთის შესახებ ინფორმაცია საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს ამ უფლების მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმით და წესით.

განხორციელებული ცვლილების მიხედვით სსიპ - ეროვნული სტყეო სააგენტოს ვეალება 2023 წლის 15 ივნისის მდგომარეობით არსებული ხე-ტყის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთის შესახებ ინფორმაცია წარუდგინოს საგადასახადო ორგანოს არაუგვიანეს 2024 წლის 31 იანვრისა.

სხვა ცვლილებები

- **ძალადაკარგულად გამოცხადდა** „გადასახადის გადამხდელისთვის სიდიდის შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრის, გაუქმებისა და აღრიცხვის წესის შესახებ შიდა ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2023 წლის 11 ივლისის №16734 ბრძანება და დამტკიცდა „გადასახადის გადამხდელისთვის სიდიდის შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრის, გაუქმებისა და აღრიცხვის წესის შესახებ“ შიდა ინსტრუქცია №1 დანართის შესაბამისად.
- **დამტკიცდა ახალი სიტუაციური სახელმძღვანელოები**
 - [ქონების გადასახადის მიზნებისთვის მეუღლეთა შემოსავლის გაანგარიშება N1432](#)
 - [მიწისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის დაბეგრვა ქონების გადასახადით N1433](#)

ჩვენ შესახებ

MOORE abc წარმოადგენს აუდიტორული და საკონსულტაციო ფირმების გლობალური ქსელის "Moore Global Network Limited"-ის წევრ კომპანიას. Moore Global - ი წარმოადგენს საბუღალტრო და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანიას რომელიც მსოფლიოს 114 ქვეყანაშია წარმოდგენილი. 2019 წლისათვის ქსელის საერთო შემოსავალმა შეადგინა 3.05 მილიარდი აშშ დოლარი.



>114

ქვეყანაში



>260

წევრი



>579

ოფისი




>30,809

თანამშრომელი

MOORE Abc არის ერთ-ერთ ლიდერი კომპანია ქვეყანაში, რომელიც 2008 წლიდან უწევს საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშების, ქონების შეფასების, აუდიტსა და დაკავშირებულ პროფესიულ მომსახურებას მთელი საქართველოს მასშტაბით.

OUR SERVICES



www.moore-georgia.ge